ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 108
22/07/2016

108-08-4-201607221726

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი " 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 29 ივლისს, დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი : მაია გოგოლაძე

1.2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელი: დავით შარაშიძე

1.3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელი: ბექა შენგელია

1.4. “ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

1.5. ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულება მომავლისათვის“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ საჭამიასერში მდებარე 3 (სამი) ერთეული შენობა-ნაგებობისა და მათზე დამაგრებული 2376.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მისწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი-28.16.22.013 უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

1.6. დაბა ჩოხატაურში მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კოხნარში მდებარე 1874.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.15.24.051) უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი:მალხაზ ჩხიკვაძე

1.7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.12.22.169) საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

1.8. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ.#69-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.048) საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

1.9. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 18 მარტის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

1.10. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის 2016 წლის 06 (ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ” ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა